სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კუტუივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ციფრული მედია და ინოვაციები** Digital Media and Innovations
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**ჟურნალისტიკის მაგისტრი** Master of journalism
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**120 კრედიტი** (ECTS) **ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 105 კრედიტი:** ➢ 75 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები; ➢ 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის (სავალდებულო) შესრულება. **ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი.** **სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგიტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**ნათია კუპრაშვილი** - ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ; **ნინო ჭალაგანიძე** - ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ; **ინგა შამილიშვილი** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბსუ.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[1]	• პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა; • საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;

[1]პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად.

	• უცხო ენის[2], ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა (დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა ან წერილობითი გამოცდის ჩაბარება); • წერითი გამოცდა სპეციალობაში[3]. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ციფრული მედია და ინოვაციები“ შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა. **მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:** • საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა; • წერითი გამოცდა (60 - %) - მინიმალური 51 ქულა; • ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდა - (40 %) - მინიმალური 51 ქულა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პროგრამის მიზანია:** 1. სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა ციფრული მედიის ფუქნციონირების, მართვის უახლესი ტრენდების, შინაარსის მომზადების ინოვაციური მიდგომებისა და გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ; 2. გამოარჩიოს და განავითაროს ციფრული ჟურნალისტიკა, როგორც სიმართლის მოძიებისა და გავრცელების დარგი მასობრივი კომუნიკაციის დიგიტალურ სამყაროში;

[2] უცხო ენის, ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა წინაპირობად განისაზღვრა რადგან ერთი მხრივ დამსაქმებელთა კვლევამ აჩვენა, რომ ბაზარს სჭირდება ინგლისური ენის მცოდნე კადრები, განსაკუთრებით ციფრულ კონტექსტთან სამუშაოდ და მეორე მხრივ პროგრამის ინოვაციურობა აუცილებელს ხდის საგანმანათლებლო პროცესში ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურის გამოყენებას.

[3] წერილობითი გამოცდა ესეს ფორმისაა (რადგან მაგისტრატურაში სწავლის მსურველი დამწყებია ჟურნალისტიკაში, პროგრამა არ ითხოვს გამოცდის ჩაბარებას ჟურნალისტიკის რომელიმე დისციპლინაში).

	3. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვით შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება საზოგადოებრივი და დარგის პრობლემების გადაჭრისთვის.
სწავლის შედეგები *ა) ცოდნა და გაცნობიერება;* *ბ) უნარი;* *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** 1. აანალიზებს და იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის საფუძვლებსა და მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და ეტაპობრივი გაშუქების სპეციფიკას; ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმებს; 2. აცნობიერებს ინოვაციური მარკეტინგული და მენეჯერული მიდგომების როლს ციფრული მედიასაწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობისთვის; 3. მსჯელობს ციფრული მედიის თვითრეგულირებისა და რეგულირების პრაქტიკაზე საქართველოსა და მსოფლიოში, კიბერჰიგიენის საფუძვლებსა და უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებზე; 4. ინტერპრეტირებს მედიამენეჯმენტის ძირითად საკითხებზე, თანამშრომლების (გუნდის) ამოცანების ინოვაციური გზით დაგეგმვასა და შესრულების ინსტრუმენტებზე; მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების მედიასაშუალების ორგანიზაციულ მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარ ინსტრუმენტებზე; გეგმავს, ასრულებს, განსაზღვრავს, აფასებს შეძენილი ცოდნისადმი განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომებს; 5. აცნობიერებს აკადემიური კეთილსინდიერების დაცვისა და პლაგიატთან ბრძოლის საჭიროებას, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების

	შესაძლებლობასა და მნიშვნელობას ჟურნალისტიკაში, ჟურნალისტური საქმიანობის ზოგადთეორიულ საფუძვლებს; 6. არგუმენტირებულად წარმოადგენს და განმარტავს საკუთარ მოსაზრებებს დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად; აანალიზებს ციფრულ კონტენტსა და მონაცემებს; მოიძიებს და ამუშავებს დარგის საკითხებზე საჭირო ინფორმაციას; არჩევს სხვადასხვა ადრესატისთვის განსხვავებულ სტილსა და სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკას, აანალიზებს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე არსებულ ციფრულ მედიაპროდუქტს, იყენებს ციფრული ,,სთორითელინგის" მეთოდებს ჟურნალისტურ საქმიანობაში; 7. გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს, კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ინტერნეტმედიისთვის შექმნილი ჟურნალისტური მასალების აუდიტორიის მონაცემებს; აანალიზებს მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; ქმნის, იღებს და ამონტაჟებს მულტიპლატფორმებისთვის მედიურ ნაწარმოებებსა და პრაქტიკაში იყენებს მულტიმედიური თხრობის უნარს; 8. როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად, გეგმავს ტრანსმედიურ პროექტებს, მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებში; 9. ახორციელებს აკადემიურ/პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ციფრულ მონაცემთა კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს, სამართლებრივი ნორმების დაცვითა და პროფესიული სტანდარტის გამოყენებით მართავს რედაქციას და ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით ადაპტირდება რეალობასთან;

	10. ქმნის წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიებს ციფრული მედიისთვის და პასუხისმგებლობას იღებს კოლეგების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე.
სწავლება-სწავლის მეთოდები	• **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** სწავლების ყველაზე გავრცელებული მეთოდია და გულისხმობს ლექციასა და სამუშაო ჯგუფში მუშაობის წარმართვას, საუბარს, აზრთა გაცვლა-გამოცვლა; • **წერითი მუშაობის მეთოდი,** რაც გულისხმობს სტუდენტ ჟურნალისტთა მიერ პრაქტიკული დავალებების (ნიუსების, სტატიების, ინტერვიუებისა თუ რეპორტაჟების) შესრულებასა და აუდიტორიაში წაკითხვა-განხილვას; ასევე გულისხმობს ესსესა თუ რეფერატის დაწერას. • **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. მოცემული მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. • **ელექტრონული სწავლება** - შერეული ფორმა, რომელიც არ გამორიცხავს საუდიტორიო მეცადინეობებს, არამედ მისი მეშვეობით პროფესორი ამრავლფეროვნებს კურსს. პროფესორი ელექტრონულ პორტალზე ათავსებს სასწავლო მასალებს, პრეზენტაციებს; სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიოფაილებს; იყენებს სასწავლო ფორუმებს, როგორც სტუდენტთა დისკუსიის ერთ-ერთ ფორმას; მიმართავს ელექტრონულ ტესტირებას, როგორც შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმას; • **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფასა და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე,

	შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. • **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია ცოდნის გადაცემისა და ათვისებისთვის, რამეთუ სწორედ წიგნებშია კაცობრიობის ისტორია, კულტურა, კაცობრიობის მონაპოვარი. წიგნზე მუშაობის მეთოდებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ, ესენია: 1. ახსნითი კითხვის/კომენტირებული კითხვის მეთოდი; 2. დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი. • **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. • **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს - მაგალითებს მედიიდან, რომლებსაც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან. • **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჟურნალისტისთვის. • **როლური და სიტუაციური თამაშები** - თოქშოუებისა თუ ინტერვიუების ფორმით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. • **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის

	საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში, უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. • **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომელიც დაწვრილებით განიხილება მოცემული თემის ფარგლებში. • **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: • **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;

	• **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: • **(FX) ვერ ჩააბარა**–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები სშემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის

	შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[4].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა**

[4] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15**

	ქულა (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	სამაგისტრო კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრს აქვს შესაძლებლობა დასაქმდეს: • სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში, სადაც ციფრული მედიისა და მულტიმედიური ჟურნალისტიკის კვლევითი და პრაქტიკული უნარები განსაკუთრებულად მოთხოვნადია; • ყველა ტიპის მედია და საინფორმაციო სამსახურში; • საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში; • ანალიტიკურ-საკონსულტაციო სააგენტოებში; • მედიისა და კომუნიკაციების კვლევით ორგანიზაციებში; • მედიამონიტორინგის კომპანიებში; • სახელმწიფო ორგანიზაციებში; • არასამთავრობო ორგანიზაციებში; • კერძო სექტორში. კვლევების თანახმად (იხილეთ ბაზრის კვლევა - https://bit.ly/3yDPBPG), საქართველოში ასეულობით მედიასაშუალება: 100-მდე ჟურნალ-გაზეთი, ათეულობით ონლაინგამოცემა, 50-მდე რადიოსადგური, 150–ზე მეტი ტელეარხი, ფუნქციონირებს (მათ შორის, 40-მდე რეგიონებში, დანარჩენი კი - თბილისში). სხვადასხვა უწყებასა და ორგანიზაციაში ფუნქციონირებს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ

	დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**ადამიანური რესურსი:** პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 პირი (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) მათგან 9 არის თსუ-ს აკადემიური პერსონალი, ხოლო 4 - ბსუ-ს აკადემიური პერსონალი. **თსუ-ს პროფესორი:** მანანა შამილიშვილი. **თსუ-ს ასოცირებული პროფესორები:** ნათია კუპრაშვილი, ნინო ჭალაგანიძე, მაია ტორაძე, რევაზ ჭიჭინაძე, ხათუნა კაჭარავა, ხათუნა მაისაშვილი **ასისტენტ პრეფსორები:** თეა მჟავანაძე, მარინე ლომიძე **მოწვეული პერსონალი:** ელდარ იბერი, უჩა სეთური, ეკატერინე ბასილაია, ნათია სვანიძე, შოთა ბარბაქაძე. **ბსუ-ს ასოცირებული პროფესორები:** ინგა შამილიშვილი, ნათია ქათამაძე, მიხეილ დონაძე **ასისტენტ-პროფესორი:** მზია ხახუტაიშვილი **მოწვეული მასწავლებელი:** თამარ ორაგველიძე, ირმა გაბინაშვილი, ლაშა ზარგინავა, მაია მერკვილაძე, მარიამ კორინთელი, ნინო დოლიძე, ფირუზ ბოლქვაძე, ნანა კვაჭაძე, გვანცა საბაშვილი, გენადი გელაძე, დავით ბენდელიანი **მატერიალური რესურსი:** • **ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის** (ბსუ-ს): ელექტრონული სწავლების პორტალები; საბიბლიოთეკო რესურსი და ელექტრონული ბაზები, სასწავლო კომპიუტერული კლასები და ინოვაციური ლაბორატორიები, სტუდენტური პორტალი https://bsu.edu.ge/ ; https://portal.bsu.edu.ge/ • ბსუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა რომელიც მდებარეობს ნინოშვილის ქ.34, მეორე კორპუსში; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თსუ-ს) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტების კომპიუტერული კლასები; • თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურს–ცენტრები და

	შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • თსუ-ს ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში და შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს და ბსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკადა სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	უზრუნველყოფილია თსუ-სა და ბსუ-ს მიერ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური

	განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	პროგრამა შეიქმნა ბაზრის კვლევით გამოკვეთილ მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამა გამორჩეულია, რადგან აერთიანებს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობას და პასუხობს თანამედროვე მულტიმედიური სამყაროს უახლეს ტენდენციებსა და მოთხოვნებს. პროგრამის გარე შეფასება და აშშ-ს უახლეს საგანმანათლებლო მსგავს პროგრამებთან შედარება განხორციელდა აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ,,ასწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ" ფარგლებში, რომელსაც თსუ-სა და ბსუ-სთან მემორანდუმით დაკავშირებული ორგანზიაცია ,,ჟურნალისტიკის რესურსცენტი" (JRC) ახორციელებს. პროექტის ფარგლებში პროგრამა შედარდა შემდეგი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო მსგავს პროგრამებს: ჩიკაგოს დეპოლის უნივერსიტეტი, სირაკუზის უნივერსიტეტი და ორეგონის უნივერსიტეტი. გარე შეფასება, რომელმაც დაადასტურა პროგრამის თავსებადობა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან, განხორციელდა ჩამოთვლილი უნივერსიტეტებისა და პოლონეთის რესპუბლიკის ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ: 1. **სეთ ლიუისი,** ჟურნალისტიკის დოქტორი, ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ. (Seth C. Lewis, Ph.D. - Professor and Shirley Papé Chair in Emerging Media Director of

	Journalism School of Journalism and Communication. University of Oregon); 2. **ჯოელ კაპლანი,** ასოცირებული პროფესორი, სირაკუზის უნივერსიტეტის მედიის სკოლის დეკანი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. აშშ. (Joel Kaplan. Associate Dean for Professional Graduate Studies Newhouse School at Syracuse University US); 3. **დენის მეთსონი**, დეპოლის უნივერსიტეტის პრეზიდენტის თანაშემწე, ჩიკაგო, აშშ; (Denise Mattson - Special Assistant | Office of the President | DePaul University, Chicago, US 4. **არკადიუს ლევიცკი,** ვროცლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და სოციალური კომუნიკაციების ინსტიტუტის პროფესორი, სოციალური კომუნიკაციისა და მედია მეცნიერების სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარე, პოლონეთი. (Prof. Arkadiusz Lewicki, Institute of Journalism and Social Communication, University of Wroclaw, Chairman of the Scientific Discipline Council, for Social Communication and Media Science); გარდა ამისა პროგრამის განხორციელებას გამოეხმაურა **ბულგარეთის რესპუბლიკის სოფიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ფაკულტეტი,** რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობისა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისა. კურსდამთავრებულს, ჟურნალისტიკის მაგისტრს, შეუძლია სწავლა განაგრძოს სწავლების შემდგომ საფეხურზე, დოქტორანტურაში. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს 40 სტუდენტი (20 - თსუ და 20 ბსუ).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა (თსუ);
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ბსუ)

მიმართულება: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (თსუ)

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ციფრული მედია და ინოვაციები

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები/კოორდინატორი**:**
ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ;
ნინო ჭალაგანიძე - ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ;
ინგა შამილიშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბსუ.

თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; №: 70/2021 (დანართი 304)
პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №476575; 11/05/2022 – 01/07/2028
https://eqe.ge/ka/deqars/595/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი: 2022 – 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[5] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; №49/2023 – 15/05/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024

[5] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო სასწავლო კურსები 105 კრედიტი (ECTS), მათ შორის: სავალდებულო (საბაზისო) კურსები - 75 ECTS სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი														
სავალდებულო (საბაზისო) კურსები - 75 ECTS														
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		I	II	III	IV	
				ლექცია	სემინარი/სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული	გამოცდის დრო								
1		მასობრივი კომუნიკაციის თეორიები და კონცეფციები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				ელდარ იბერი (თსუ) ირმა გაბინაშვილი (ბსუ)
2		ციფრული მედია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				რევაზ ჭიჭინაძე (თსუ) ლაშა ზარგინავა (ბსუ)
3		რეპორტინგი ციფრულ მედიაში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				ნინო ჭალაგანიძე (თსუ) მაია მერკვილაძე (ბსუ)

4		კიბერკულტურა და ჟურნალიზმი	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓				ნათია კუპრაშვილი (თსუ) ნინო დოლიძე (ბსუ)
5		დარგობრივი ინგლისური ენა	5	-	45	3	77	125	წინაპირობის გარეშე	✓				ნათია ქათამაძე (ბსუ) ენების ცენტრის პედაგოგი (თსუ)
6		მედიატრენდები და მედიასტარტაპები	5	15	15	5	90	125	ციფრული მედია		✓			ეკატერინე ბასიალაია (თსუ) ფირუზ ბოლქვაძე (ბსუ)
7		მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები (მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓				ხათუნა მაისაშვილი (თსუ) თამარ ორაგველიძე (ბსუ)
8		გრაფიკული მედია	5	15	30	5	75	125	რეპორტინგი ციფრულ მედიაში		✓			მაია ტორაძე (თსუ) ნანა კვაჭაძე (ბსუ)
9		პოდკასტების წარმოება	5	15	15	5	90	125	ციფრული მედია		✓			თეა მჟავანაძე (თსუ) მაია მერკვილაძე (ბსუ)
10		წერა ქსელური მედიისთვის	5	15	15	5	90	125	რეპორტინგი ციფრულ მედიაში		✓			მანანა შამილიშვილი (თსუ) მარიამ კორინთელი (ბსუ)
11		ფუნქციური წერა და სტილისტიკა	5	15	30	3	77	125	წინაპირობის გარეშე			✓		მზია ხახუტაიშვილი (ბსუ) ნათია სვანიძე (თსუ)
12		ვიზუალური თხრობა	5	30	15	4	76	125	რეპორტინგი ციფრულ მედიაში			✓		ნინო ჭალაგანიძე (თსუ) ნინო დოლიძე (ბსუ)
13		მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე			✓		მაია ტორაძე (თსუ) მაია მერკვილაძე (ბსუ)
14		პროფესიული პრაქტიკა	10	-	65	5	180	250	• გრაფიკული მედია; • პოდკასტების წარმოება;			✓		ინგა შამილიშვილი (ბსუ) ხათუნა კაჭარავა (თსუ)

									• წერა ქსელური მედიისთვის					
15		სამაგისტრო ნაშრომი	30	60			690	750	მინიმუმ 90 კრედიტი (მათ შორის, ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი)				✓	სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS[6]														
16		ციფრული მედიის სამართალი	5	15	30	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓				უჩა სეთური (თსუ), მარიამ კორინთელი (ბსუ)
17		თანამედროვე მულტიმედია და WEB ტექნოლოგიები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓				შოთა ბარბაქაძე (თსუ) მიხეილ დონაძე (ბსუ)
18		ინოვაციური ტექნოლოგიები მედიამენეჯმენეჯმენტში და თვითმართვა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓			გენადი გელაძე (ბსუ) მარინა ლომიძე (თსუ) ლაურა კუტუბიძე (თსუ)
19		ციფრული მედიის მარკეტინგი	5	15	15	5	90	125	ციფრული მედია		✓			ნათია კუპრაშვილი (თსუ) გენადი გელაძე (ბსუ)
20		ციფრული მედიის დიზაინი	5	15	15	5	90	125	ციფრული მედია			✓		ხათუნა კაჭარავა (თსუ), დავით ბენდელიანი (ბსუ)
21		ტრანსმედია პროექტები	5	15	30	4	76	125	ციფრული მედია			✓		ნათია კუპრაშვილი (თსუ) გვანცა საბაშვილი (ბსუ)

[6]შეთავაზებული 30 არჩევითი კრედიტიდან სტუდენტი ვალდებულია, სამი სემესტრის განმავლობაში დააგროვოს 15 კრედიტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა: ნ.ჭალაგანიძე

ნ.კუპრაშვილი

ი.შამილიშვილი

ფაკულტეტ(ებ)ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს(ებ)ის ხელმოწერა: რ.ჯორბენაძე

ჟ.გუმბარიძე

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: ე.გელაშვილი

ფაკულტეტ(ებ)ის დეკან(ებ)ის ხელმოწერა: თ.დოლბაია

მ.გიორგაძე

უნივერსიტეტ(ებ)ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს(ებ)ის ხელმოწერა: ი.გრძელიძე

ი.კორძაია

თარიღი _____ ფაკულტეტ(ებ)ის ბეჭედი